საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1092 2024 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 1^1 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარედ, შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის/ ნახევარკუნძულის მოწყობის მიზნით, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ (ს/ნ: 445601126) 12 თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 500 000 (ხუთასი ათასი) m^3 სასარგებლო წიაღისეული (ხალას ანდეზიტები, ბაზალტები და ტუფობრექჩიები) ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხალას მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

I უბანი		
#	X	Y
1	734112.882	4622587.452
2	734102.332	4622715.512
3	734198.942	4622811.677
4	734201.322	4622883.117
5	734497.782	4622607.482
6	734376.187	4622392.302
7	734204.937	4622535.072
S = 9,80 ჰა		
II უბანი		
#	X	Y
1	734207.277	4622892.802
2	734256.327	4623006.307
3	734454.767	4623122.192
4	734663.657	4622895.092
5	734501.332	4622613.762
S = 12,45 ჰა		
WGS 1984		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) გეოსაინფორმაციო პაკეტით (2024 წლის აპრილი) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში უზრუნველყოს 121 739 (ას ოცდაერთი ათას შვიდას ოცდაცხრამეტი) ლარის გადახდა.

3. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ, ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე, წიაღით სარგებლობის პირობების შესრულების ზედამხედველობა განახორციელოს სააგენტომ.

4. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე